საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დასტა

დასტა

დასტა, აღმოსავლური მუსიკალური საკრავების დამკვრელთა მცირე ანსამბლი სამხრეთ კავკასიაში.

საქართველოში გავრცელდა XVII ს-ში აღმოსავლური რეპერტუარით. ანსამბლის შემადგენლობაში იყო ორი ზურნა ან ორი დუდუკი და დოლი. მელოდიას ასრულებს ერთი მეზურნე „უსტა" – ოსტატი, მეორე მეზურნე – „დამქაში" – მელოდიას ბურდონული (გაბმული) ბანით მიჰყვება კილოს ძირითად საფეხურებზე. მედოლე დახელოვნებული მომღერალიცაა.

დ-ის რეპერტუარი მრავალფეროვანია, უმთავრესად ასრულებენ საყოფაცხოვრებო, ლირ.-სატრფიალო, სალაღობო, საცეკვაო მუსიკას. იგი ყარაჩოხელებისა და თავადიშვილების ქალაქური ლხინის აუცილებელი თანმხლები იყო. დროთა ვითარებაში დ-ის რეპერტუარი თანდათან გამდიდრდა ქართ. ხალხ. სიმღერებით.

ანსამბლმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია XX ს. 30-იან წლებში, როდესაც ცნობილი მომღერლის, ა. ვარდიაშვილის, წინადადებით დ-ს მესამე დუდუკი დაუმატეს. ამიერიდან დ-მ იწყო სამხმიანი ქართ. სიმღერების შესრულება და დიდი პოპულარობაც მოიპოვა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. თბილისში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ხ. ტალგაუკოვის და ქსოვრელების დასტები, ანსამბლი „სოინარი". დ-ის

თანხლებით მღეროდნენ ა. ვარდიაშვილი და ნ. დ. დადიანი.

გ. ჩხიკვაძე